



ლიზი-2 - უნივერსალი ობიექტის სინამდვილეში!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტექნოპარკი გაიხსნა



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტექნოპარკი გახსნა.



კ ა ლ ი ო ნ ი

გურია უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

ს ა ზ ო ვ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გაზეთი. ყოველკვირეული გამოშვება. № 41 (1041) 20 დეკემბერი, 2021 წ. შპსი 60 თეთრი.



სოფელ შემოქმედში „კალანდა“ აღინიშნა



ალიონი. „კალანდა 2022“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის ეთნოგრაფიულ სახლში ყველა ძველი ტრადიციის დაცვით ჩატარდა. აგუნას გადმოძახილი, მეკვლის ფეხადობა, ცხემლის ჭრა, ჩიჩილაკის დამზადება, ჭურის მოხდა, არყის ხდის, გურული ღვეზლის ცხობის რიტუალები და მუცლის სალოცავი კალანდისთვის დამახასიათებელი უძველესი ტრადიციებია. მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, ასეულობით ადამიანი დაესწრო ამ ღამაზე დღესასწაულს. სოფელ შემოქმედის ცენტრში მოწყობილ საგაგრო სივრცეში ინდემწარმეებს გასაყიდად გამოტანილი ჰქონდათ ჩურჩხელები, სხვა ადგილობრივი ნაწარმი. განსაკუთრებული ხალხმრავლობა გურულის ვაზის მოჭირნახულე ანდრო ერქომაიშვილთან იყო. აქ ადგილობრივი ჯიშის ყურძნიდან დაწურული ღვინოების დეგუსტაცია მიმდინარეობდა. „საკმიელა“, „ჩხავერი“, „აითნაური“, „ალადასტური“ და სხვა დასახელების ღვინოები „მზიას ჩურჩხელებთან“ ერთად ძალიან მოთხოვნადი იყო. საინტერესოდ იყო წარმოდგენილი „პირველი საგაგრო სახლი“, რომლის შეფ მზარეულმა ლადო დანელიამ მათ მიერ მომზადებული არაერთი მივიწყებული ადგილობრივი კერძი წარუდგინა ქართველ და უცხოელ სტუმრებს. „ჩაქინძული ციკანი გოგრაში“, „ციკანის ხორცი გურული სუნელებით.“ „ლობიო



განახლებული რესტორანი „ტონუსი“ გიწვევთ

ახალი მენიუ გურული კერძებით: „გურიელი“ (გურული ღვეზელი შებოლილი კვერცხით); „შორღანის ულუფა“ (ცხელი სულგუნი ობობალა); „სათავადო“ (გურული დედალი ნიგოზში შეტუტული); გურული კუპატი, შეტუტული ხბოს ბეჭი, კალმასი ნიგოზით ამოტანილი და ათეულობით სხვა დასახელების ქართული და ევროპული კერძი, სასმელების ფართო ასორტიმენტი. მყუდრო გარემო, კარგი მომსახურება, მისაღები ფასები. ეწვიეთ! **ქ. ოზურგეთი, აკაკის ქ. №9.**



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაგვრდა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება

რედაქციის
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი
მიზნობრივი აქცია
«ალიონით»

სოფელ უემოქმელში „კალანდა“ აღინიშნა



ცულისპირული „კალანდა“ წყავის ფოთლოში“ და ა.შ.

„ქვირფასო თანამოქალაქებო, ქვირფასო ოზურგეთელებო, გლოცავთ კალანდას! მშვილობის, ბედნიერების და წინსვლის წელი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის. წელს კალანდას განსხვავებულად, ყველანი ერთად შევხვდით ულამაზეს სოფელ უემოქმელში და ჩვენი ტრადიცია სტუმრებსაც გაგვაცანიოთ ეთნოგრაფიულ მუზეუმში. მადლობა, რომ მიიღეთ ჩემი მოწვევა და მიბრძანდით. კიდევ ერთხელ გილოცავთ, მრავალ კალანდას დაესწარიო!“ განაცხადა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ.

ლონისძიებს დაესწრნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, გურიის მაჟორიტარი დეპუტატი ვასილ ჩიგოგიძე, გურიის გუბერნატორი გიორგი ურუშაძე, ისრაელის ელჩი საქართველოში რან ვილერი და სხვა მოწვეული სტუმრები.

ლონისძიებმა გალა კონცერტით, „თეატრალური კვარტეტის“ მონაწილეობით და საკალანდო ფორევერკით დასრულდა „კალანდა 2022“ გურიის სამივე მუნიციპალიტეტში საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტექნოპარკი გაიხსნა

გახსნის ცერემონიალს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარე ავთანდილ კასრაძე, სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ თალაკვაძე ესწრებოდნენ.

ოზურგეთის ახალ ტექნოპარკში წარმოღვევნილია სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია (ფაბლაბი) - უახლესი დანადგარებით: მაღალი წარმადობის 3 პრინტერი, ლაზერული მჭრელი, პროგრამირებადი ჩარხი, CNC აპარატი, პლატების საბეჭდი როლტერი, 3 სკანერი და სხვა. მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტებული ლაბორატორიული სივრცე დაეხმარება დაინტერესებულ პირებს მოდელირებასა და პროტოტიპირებაში. ამასთან, ტექნოპარკი აერთიანებს სასწავლო ცენტრს, საერთო სამუშაო სივრცეს (კო-ვორკინგ), სტარტაპებისა და ეწ „ფრილანსერებისათვის“, სადაც შესაძლებელია, გარკვეული პირობებით, სამუშაო ადგილის მიღება, საკუთარი იდეის თუ სტარტაპის გასაფართოებლად.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ვასილ ჩიგოგიძე მისამართად აღინიშნა

ალიონი. ალ. წუწუნავას სახელობის ოზურგეთის დრამატული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად კონკურსის წესით ზღვიზედ მესამედ ვასილ ჩიგოგიძე დაინიშნა. იგი ამ თანამდებობას „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ოთხი წლის ვადით დაიკავებს.

გამოცხადდა კონკურსი და საკმაოდ გრძელი პროცედურები იყო გასავლელი. საქართველოს კულტურის სამინისტრომ ვასილ ჩიგოგიძის კანდიდატურა წარუდგინა სპეციალურ სარეკომენდაციო საბჭოს. საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე კი გამოიყენებინა მინისტრის თეატრალური კულტურის მინისტრის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა - გვიტხნა ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა ზაზა ვინჭარაძემ.

ვასილ ჩიგოგიძე 70-იანი წლების დასაწყისში, ვასილ ჩიგოგიძემ თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დამთავრებისას ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ვასილ შუკშინის „ქვეყნოვლი ადამიანი“ დადგა, რამაც მას აღიარება მოუტანა. მის სახელს უკავშირდება ნოდარ დუმბაძის გიბრების, ოზურგეთის სცენაზე ქართველი და უცხოელი დრამატურგების არაერთი ნაწარმოების ახალი სცენური სივრცე.

ვკრ კიდევ ვასილ საუკუნის 80-იან წლებში მისი ხელმძღვანელობით ოზურგეთის თეატრი წარსდგა გერმანელი, უნგრელი და სხვა ქვეყნების მომხიზონი მყურებლების წინაშე, ლობის წვლილი მძუღვის ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალის დაფუძნებაში.

ბოლო წლებში ოზურგეთის თეატრი წარმატებულად გამოდის ცნობილ მაღვფეთეს ფესტივალზე სტამბოლში. წარმატებული გასტროლები ჰქონდა ბულგარეთ-რუმინეთში და შემდეგ უკრაინაში-სერსონის ოლქში. ამ გასტროლებმა განაპირობა ოზურგეთელების და გენჩესკელების მგობრობის გაცოცხლება, რასაც გენჩესკის რაიონის დლეგაციის ჩამოსვლა მოჰყვა ოზურგეთში.

ვასილ ჩიგოგიძე არის ევრაზიის თეატრების ასოციაციის (ETA) ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც 21 თეატრს აერთიანებს.

წელს, სავარაუდოდ, ოზურგეთის თეატრი გასტროლებზე პორტუგალიაში, ქალაქ პორტუში გაემგზავრება, რასაც ვასილ ჩიგოგიძის სპეციალური ვიზიტი უძღვრდა ევრაზიის ამ ლამაზ ქვეყანაში.

ვულოცავთ ბატონ ვასოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად კვლავ დანიშნას და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ!



საპროტესტო აქცია ნასაკირალში სასამართლომ დააკაშული დეპუტატები გაათავისუფლა

ალიონი. 11 იანვარს ნასაკირალის დასახლებაში ადგილობრივ მოსახლეობამ გზის მშენებლობის გაკანონება გაპროტესტა და ოზურგეთი-ჩოხატაურის დამაკავშირებელი ცენტრალური ავტომაგისტრალის გადაკეტვას ცდილობდნენ. მოსახლეობასთან ერთად, იყვნენ ერთანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარე დავით მყავანაძე, დაბა ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატი ბესო ქათამაძე, დეპუტატი შალვა თავდიშვილი და სხვები. ისინი ხელისუფლებას კორუფციაში აღნაშნულებდნენ და აცხადებენ, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა 60 მილიონი ამერიკული დოლარი გამოყვეს გურიის ყველა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, ეს თანხები უკვე გამქრალია, ჩინური კომპანიები, რომლებიც აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებენ, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ეწ. „აქტუალების“ მსხვერპლი არიან. სარეაბილიტაციო სამუშაოები კი წლების განმავლობაში ჰვიანრდება, რაც მოქალაქეებს პრობლემას ყოველდღიურად უქმნის. ისინი მოითხოვდნენ გზის მშენებლობის განახლებას.

აქციაზე დეპუტატები ბესო ქათამაძე და შალვა თავდიშვილი პოლიციამ მას შემდეგ დააკავა, რაც მათივე ინფორმაციით, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად გზის გადაკეტვას და ცენტრალურ გზაზე მოძრაობის შეჩერებას ცდილობდნენ.

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე (მოსამართლე თორნიკე კანანაძე) და 12 იანვარს გადაწყვეტილება გამოაცხადა.

როგორც ოპოციზონური დეპუტატების ადვოკატმა კანა ჩაუღვიძელმა გვითხრა, მათი დაკავება უკანონო იყო და ამისთვის არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

დაბა ნასაკირალის მაჟორიტარ დეპუტატ ბესო ქათამაძის მიმართ აღმინსტრაციული საქმის წარმოება შეწყდა, შალვა თავდიშვილი ცნო სამართალდამრღვევად, მერამ რაჟი ამას არ გამოუწყვეთა რაიმე სახის ზიანი, აღმინსტრაციული კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად სიტყვიერი გაფრთხილება მისცა.

11 იანვარს გაზეთი „ალიონი“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს დაუკავშირდა და საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა ბავი-ნასაკირალის გზის მშენებლობისა და მისი დასრულების ვადების შესახებ.

დეპარტამენტმა ოპერატიულად გადა-



მოუგზავნა რედაქციას პასუხი: „თქვენი 2022 წლის 11 იანვრის ელექტრონული შეტყობინების (დეპარტამენტში რეგისტრაციის 583/2) შესაბამისად, გაცნობებთ, რომ შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სავაგანო-ჩოხატაური-ოზურგეთი - ქობულეთის 302 საავტომობილო გზის კმ35-კმ43.6 და კმ47.2-კმ48 მონაკვეთებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული (სესხის No. IBRD 8599-GE) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სავაგანო აქტივების მართვის პროექტის (SRAMP ID: 149953) ფარგლებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და კომპანია „China Road and Bridge Corporation“ შორის 2021 წლის 13 მაისს გაფორმებული SRAMP/CW/NCB-11 Lot 1 ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 8,128,896.48 ლარს, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების ვადის დასრულების თარიღია 2022 წლის 27 მაისი. პატვისისკენით, დავით ვეწაძე დეპარტამენტის თავმჯდომარის მადლიერად“



2022 წელი ჩვენი და თქვენი ოჯახებისთვის ყოფილიყოს სისწრაზის, წარმატების და კეთილდღეობის მომტანი. განსაკუთრებით ვულოცავ შობა-კალანდას სოფლის მეურნეობის სფეროს წარმომადგენლებს, მეწარმეებს, იმ ადამიანებს, რომლებიც იღვწიან ქართული ეკონომიკის აღორძინებისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მჯერა მუნიციპალიტეტის, ასევე რეგიონის განვითარებისათვის 2022 წელსაც კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება

ალეგო გამყფილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

ქალაქში უფასო ტაქსი კვლავ გაემოჩნდა



ალიონი. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, თეატრის ვოკალური ანსამბლის სოლისტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, კოლორიტი და მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი ჯემალ კეჭყაძე, რომელმაც ქველმოქმედების ასეთი გზა

განახორციელა. ამ შემთხვევაში მას სოფელ კვირიკეთში, წმ. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიიდან გადაწყვედა მგზავრები.

წელს, 7 იანვარს, იგი კვლავ ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინ იდგა და უფასოდ ემსახურებოდა მოქალაქეებს. ამ დღეს მან მუნიციპალიტეტის არაერთ სოფელში გადაიყვანა უსასყიდლოდ ათეულობით მგზავრი.

მის ასეთ აქტიურობას მუდმივად სპორტულ ფორმაში ყოფნაც უწყობს ხელს. 20015 წელს იგი ფეხით ქ. ბათუმში ჩავიდა.

ჯემალ კეჭყაძე გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი იყო.

ავიციხათ ეხომანეთისთვის!

კორონავირუსის ვაქცინაციის ფასალისებვის 200-ლარიანი პროგრამა ბრძოლაში 2022 წლის იანვარშიც.
ფასალისებვის პროგრამით სარგებლობა ახლა უკვე 50 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ.
კორონავირუსის საფინანსოვლო ვაქცინის პირველი დოზის ჩატარების შემდეგ 200-ლარიანი ერთჯერადი დანაგაბი ავტომატურად ჩაირიცხება ვაქცინირებულ პირს.

გაიზიარებს თუ არა მდინარე ნატანები მდინარე სუფსის ბელს



ალიონი. მდინარე სუფსის აუზის ათვისების შემდეგ ქვეაღორდის მოპოვებულ მდინარე ნატანების აუზში კვლავ შევიდნენ. წლების განმავლობაში აქ 40-მდე ქვა-ღორღის მოპოვებელი კომპანია მუშაობდა და ამ ხეობას, სასოფლო-სამეურნეო სავარგულს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით შავი ზღვიდან პირდაპირი ხაზით 20 კილომეტრ მანძილზე მდინარის აუზებში აკრძალა ინერტული მასალების მოპოვება, თუმცა მდინარე ნატანების ხეობაში გარემოსამცველთა პრეტენზიები კომპანია „ნალუთუ“ ს მიმართ, რომელსაც ქვა-ღორღის მოპოვებაზე ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანია „აქ-ვასთან“ გრძელდებოდა.

„ნალუთუ“ ამჟამად მდინარე ნატანების ქვემო წელში (20 კილომეტრიანი ზონა) მუშაობს და მან 2026 წლამდე აქ 48 ათასი კუბური მეტრი ინერტული მასალა უნდა მოიპოვოს.

2020 წლის 31 აგვისტოს საქართველოს გეოლოგიური დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძემ წერილობით (8240-2-07) მიმართა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს **მაია ცქიტიშვილს:**

„წარმოვიდგინე „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის

შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტს.

გთხოვთ მისცეთ მსვლელობა.

დეპარტამენტის თავმჯდომარე **ირაკლი ქარსელაძე** 2020 წლის 4 სექტემბერს მიიღო შესაბამისი ცვლილების დადგენილება.

ამ დადგენილებით ერთობლივი საწარმო „**POLAT YOL & MAPA**“ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე შავი ზღვიდან 20-კილომეტრიანი ზონაში ასეულობით ათას კუბურ წიაღისეულს მოიპოვებს. სახელმწიფო ბიუჯეტში ერთი თვის ვადაში 530 493 ლარი უნდა შევიდეს.

თურქულ-ქართული ერთობლივი საწარმო „**POLAT YOL & MAPA**“ ბათუმის

შემოვლითი გზის 13-კილომეტრიან მონაკვეთს აშენებს და მდინარე ნატანებიდან ამორებული ქვა-ღორღი ამ მშენებლობას სჭირდება, აჭარის ხელისუფლება კი აცხადებს, რომ ავტონომიის ტერიტორიაზე მდინარეებს ჭარბი ნატანი ფაქტურად არ აქვს.

გთავაზობთ გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებლის, **ირმა გორდეღაძის** მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული პოსტს:

„არ გამიკვირდება რომ მალე ინვესტორისთვის შეცვალონ კანონმდებლობა და წიაღის მოპოვების უფლება ზღვიდანაც დართონ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მერია, მდინარე ნატანები. ძლივს ვიცანი მდინარე.

მდინარე ნატანებიდან, რომელიც ზღვაში ჩამდინარეა და ეს ტერიტორია არის ზღვიდან 20 კილომეტრიანი ზონაში, კომპანია „პოლატს“ ხელისუფლებამ უფლება მისცა ლიცენზიის წიაღისეულს მოპოვების სასწრაფოდ შეეცვალა „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების“ დებულებაში, ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე.

2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში ცვლილებები შევიდა 2020 წლის

4 სექტემბერს. კერძოდ:

„დაუშვებელია ლიცენზიის გაცემა ინერტული მასალის მოპოვების მიზნით, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეთა შავი ზღვის შესართავიდან 20 კმ მანძილზე პირდაპირი ხაზით“

ცვლილება „მითითებულ დიაპაზონში ინერტული მასალის მოპოვება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ მოპოვება წარმოებს ჭარბი აკუმულაციის უბნებიდან შავი ზღვის ნაპირების (პლაჟების) ადგილის მიზნით. მოპოვება დასაშვებია აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული მასალა დასაწყობებულია“

ხელს აწერს მამინდელი პრემიერი-გახარია.

ერთ კვირაში, სასწრაფო წესით კანონის ცვლილებას წინ უსწრებდა, კომპანია „პოლატის“, წერილი 27.08.2020 წ. დოკუმენტის - 20/0324, რომელიც გავგზავნა საქართველოს საკუთმფლობილო გზების დეპარტამენტს. კომპანიამ დაიწყო წიაღისეულის მოპოვების უფლება.

ხელს აწერს ამჟამინდელი პრემიერი.

ავტობანი კარგია და სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტია.

მაგრამ მდინარეები და ზღვა არაა სახელმწიფო მნიშვნელობის?

ეს ავტობანი ხომ იმიტომ კეთდება, ზღვას ესტუმროს ადამიანები და თუ მდინარეებმა ნატანი ვერ ჩაიტანა, ზღვის სანაპირო ზოლსაც ეროზია დაეწყო და დაყარეთ მერე ქვა-ღორღი სანაპიროზე. ულიცენზიო კარიერსაც სჭირდება სრული დოკუმენტაციების პაკეტი, რომელსაც აუცილებლად მოვითხოვთ.

როცა დიდი პროექტი ხორციელდება, მისთვის საჭირო მასალას გათვლა უნდა, ამის გამო მდინარეთა ტრაექტორიის, კალაპოტის იავარქმნა დაუშვებელია!“ - წერს ირმა გორდეღაძე.

გაზეთ „ალიონთან“ ამ თემაზე კომენტარი გააკეთა ოზურგეთის მერის წარმომადგენელმა სოფელ გურიანთაში **გია ფასიშვილმა:**

„კომპანია „**POLAT YOL & MAPA**“ სოფელ გურიანთის ტერიტორიაზე აწარმოებს ინერტული მასალის მოპოვებას. კარიერის გაღმა-გამოღმა სოფელ გურიანთის და სოფელ ოზურგეთის საყანე ფართობებია. ამჟამად საყანე ფართობებს და სხვა სავარგულებს საფრთხე არ ემუქრება. მძიმეწონიანი ავტომანქანები სხვა გზით დადიან, მოსახლეობას არ აწუხებს“ -

7 დღის ამინდის პროგნოზი

თოვლი -3+3	წვიმა, თოვლი 0+5	წვიმა, თოვლი -1+3	თოვლი -3+1	მზა, ღრუბალი -1+4	პლიური წვიმა -1+4	წვიმა, თოვლი -3+3
17 იანვარი ორშაბათი	18 იანვარი სამშაბათი	19 იანვარი ოთხშაბათი	20 იანვარი ხუთშაბათი	21 იანვარი პარასკევი	22 იანვარი შაბათი	23 იანვარი კვირა

ზურაბ ანდლუაძე -70

აღმოსავლური საზოგადოების ერთ-ერთი ღირსეულ წარმომადგენელს -- ზურაბ ანდლუაძეს, დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა



იგი დაიბადა 1952 წლის 3 იანვარს, სოფელ ძიმიტოში. არის ინჟინერ-მექანიკოსი, დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, 1971-73 წ.წ. გაიარა სამხედრო საავადმყოფო სამსახური. შრომით საქმიანობას ეწევა 1968 წლიდან. სწავლის პარალელურად მუშაობდა ბათუმის გემთმშენებელ და ელექტრო-მექანიკურ ქარხნებში სხვადასხვა პოზიციაზე (ზეინკალი, ელექტრო და არგონუმდუღებელი, კონსტრუქტორი, ოსტატი, საამქროს უფროსის მოადგილე). 1978 წლიდან დაიწყო მუშაობა ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1982-1985 წ.წ. იყო მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტი. 1987 წელს დაამთავრა საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი ეკონომიკური მიმართულებით. არის 31 გამოგონების და ორმოცზე მეტი გამოკვების საპატენტო ნაშრომის ავტორი. მონაწილეობდა 30-მდე საერთაშორისო და საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციაში. მიღებულია ქვს მედალი „სსრკ გამოგონებელი“. 1987-1988 წლებში მუშაობდა ანასეულის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკის დირექტორად, ხოლო 1989-2011 წლებში, სასოფლო-სამეურნეო

და გადაამუშავებელი ტექნიკის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორად. რეორგანიზაციის შემდეგ, 2011 წლიდან, მუშაობს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში, ინჟინერ-კონსტრუქტორის და მეცნიერ თანამშრომლის პოზიციაზე. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით აგროსამრეწველო ტექნიკის სფეროში დამუშავებული და შექმნილია არაერთი პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური მანქანა - მოწყობილობები და სახეები, რომლებიც წარმატებით ინერგებოდა, როგორც სამამულო აგრომრეწველობაში, ისე საზღვარგარეთ. მას დიდი გამოცდილება გააჩნია საწარმოო ობიექტების დაგეგმარება-მშენებლობისა და კომპლექტაცია-გამშენების საქმეში, მათ შორის საოჯახო, ფერმერული დანიშნულების ჩაის ფაბრიკები და ადგილობრივი ნედლეულიდან სხვადასხვა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობები. ბატონი ზურაბი, როგორც გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტი, დღესაც ნაყოფიერად მოღვაწეობს დარგში არსებული გამოკვებისა და პრობლემების გადაჭრაზე. იგი რეგიონის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად და ხსნად, ადგილობრივი პოპულაციის სანდო-დღეობის რესურსების გამოყენება-ათვისებას მიიჩნევს. ამ მიმართულებით მარტო ბოლო ორი წლის მანძილზე, ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული აგროსამრეწველო სფეროში ოთხი, პრინციპულად ახალი და მოთხოვნადი, ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების შექმნაში, რომელთაგან სამზე უკვე გაცემულია პატენტი გამოგონებაზე. თეორიული ცოდნით, პრაქტიკული გამოცდილებით, რეგიონში იგი, ტექნიკური დარგის ერთ-ერთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტია. იგი კარგად ფლობს

საპროექტო--საკონსტრუქტორო საშუალებების შესრულების კომპიუტერულ პროგრამებს. ბატონი ზურაბი წლების განმავლობაში ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა. 1992-2010 წ.წ. კითხულობდა ლექციებს ტექნიკურ დისციპლინებში (თეორიული მექანიკა, მანქანათა ნაწილები, ჰიდრავლიკა, მასალათმცოდნეობა, ხაზვა და სხვა) ქუთაისის, ნ.ძუსხელიძის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტში და ოზურგეთის ბუნებასარგებლობის სასწავლო ინსტიტუტში. ძირითადი საქმიანობის პარალელურად 1999-2004წ.წ. დააფუძნა და ხელმძღვანელობდა ოზურგეთის პროფესიულ სასწავლებელს, იყო ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის გურიის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სადაც დიპლომირებული ინჟინერი გახდა ათეულობით ადგილობრივი ახალგაზრდა. არასამთავრობო სექტორში 2004-2008 წ.წ. დაფუძნებული ჰქონდა სოფლის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების გურიის რეგიონალური ცენტრი, რომლის ფარგლებში განხორციელებული აქვს ორი პროექტი. ბატონი ზურაბი გამორჩეულია აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობითაც. 1986-1987 წ.წ. არჩეული იყო ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების პარტიული ბიუროს მდივანად, 1987-1990 წ.წ. - ოზურგეთის საქალაქო საბჭოს დეპუტატად და საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ. 1997-2002 წ.წ. პ/გ მოქალაქეთა კავშირის ოზურგეთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ, 1998-2002 წ.წ. არჩეული იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარედ. ზურაბ ანდლუაძე 1993 წელს იყო ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელი ჯერ რაიონული, ხოლო 1995 წელს გურიის

ჭადრაკის ფედერაციისა, რომელსაც პრეზიდენტის რანგში 2005 წლიდან ხელმძღვანელობს. მან, ფედერაციაში ფუნქციონალურად გამართული სტრუქტურის ჩამოყალიბებით, შემლო რეგიონში დიდი საჭადრაკო ოჯახის შექმნა. იგი დღეს რესპუბლიკის საჭადრაკო ცხოვრებაში ერთ-ერთ წარმატებულ, რეგიონალურ სპორტულ ფედერაციას, და სამივე მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თაობის მოჭადრაკეთა სპორტულ მიზნობრივ გაერთიანებას წარმოადგენს, რომელიც ნაყოფიერად მოღვაწეობს გურიაში და ზოგადად, საქართველოში ჭადრაკის განვითარება-პოპულარიზაციისა და მდიდარი საჭადრაკო ტრადიციების გაგრძელება-განმტკიცების სახელმწიფოებრივ საქმეში. ფედერაციის ერთ-ერთ მთავარ წარმატებად ითვლება გურიის რეგიონალური ჩემპიონატების ყოველწლიურად დაუწყვეტად ჩატარება, რაც რეგიონში ჭადრაკის ათასობით გულშემატკივართა უდიდეს ინტერესს იწვევს. მნიშვნელოვანია, საჭადრაკო კლუბ „გურიას“ წარმატებული საქმიანობაც, რომლის მართვას, ბატონი ზურაბი ფედერაციის ფარგლებში ახორციელებს. კლუბმა 2014 წლიდან ოთხჯერ მიიღო მონაწილეობა საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, სადაც

კვების უმაღლესი დონის მოჭადრაკეებია ჩართული, და ერთხელ პრიზიორიც გახდა. ბატონი ზურაბი წარმატებით მოღვაწეობს მსაჯის რანგშიც. უმსაჯია ვეროპის საჭადრაკო ფესტივალში და რესპუბლიკურ ჩემპიონატებში და ტურნირებში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ორგანიზებული საჭადრაკო სპორტული ღონისძიებების რიცხვი, დღისანა 300-ს გადაცდა. ამჟამად მას დამთავრების სტადიაში აქვს წიგნი- „გურიაში ჭადრაკს თამაშობენ!“, რომელშიც ასახვას ჰპოვებს, გურიაში ჭადრაკთან დაკავშირებული მისი 40-წლიანი მოღვაწეობის დროს მიღებული შთაბეჭდილებები, მოგონებები და შეფასებები სხვადასხვა თაობის რჩეულ გურულ მოჭადრაკეებზე, სტატისტიკური „პუბლიცისტიური“ ფოტომასალები და სხვა. კულტავთ ბატონ ზურაბს საიუბილეო თარიღს! ჯანმრთელობას და წარმატებებს უუსურვებთ, როგორც სამეცნიერო-საინჟინერო, ისე სპორტულ-შემოქმედით საქმიანობაში.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი; გურიის ჭადრაკის ფედერაცია;



კორონავირუსიდან გურიის ჩემპიონობა



ალიონი. დეკემბრის მეორე ნახევარში გურიის 2021 წლის ჩემპიონატი გაიმართა ჭადრაკში, რომელიც მეტად დაძაბული და საინტერესო აღმოჩნდა. ოზურგეთელი გიორგი გოლოლაური მესამედ გახდა გურიის ჩემპიონი. თანაბარი ქულებით მეორე-მესამე ადგილებზე გურიის სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში ჩონატაურელი გივი ქორიძე და ორგზის ჩემპიონი, ოზურგეთელი დავით ცეცხლაძე გავიდნენ. გურიის 2020 წლის ჩემპიონი,

ლანჩხუთელი ტარიელ სუხუნიძე ვიწრო მუხარამის გარეშე დარჩა. დაჯილდოების ცერემონიალის დაწყების წინ მან გახეი „ალიონს“ საინტერესო ამბავი უამბო: - კორონა ვირუსი რომ მეტად საშიში ინფექციაა, ეს კი ვიცი, მაგრამ არ ვიცი, დაიჯერებთ თუ არა, მაგრამ მე ეს დაავადება ჩემიონად „გახდომას“ დამეხმარა. 2020 წლის დეკემბრის დასაწყისში. კორონა ვირუსი დამიდარდა. რთული ფორმით არ მიმდინარებდა, მაგრამ 12 დეკემბერს მაინც დარჩა საჭირო ქოხულების №1 კლინიკურ საავადმყოფოში გადაყვანა. 16 დეკემბერს გურიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ზურაბ ანდლუაძემ დამირეკა და მითხრა: - ტარიელ, შენ 1995 წელს ჩატარებული გურიის პირველი ჩემპიონატიდან მოყოლებული, არც ერთი არ დაგიტოვებია. ვიცი, საავადმყოფოში ხარ, მაგრამ თუ შეძლებ ონლაინ რეჟიმში შეხვედები ჩემპიონატის მონაწილეებს და 2020 ჩემპიონატს არ გამოტოვებ. ზურაბ ანდლუაძემ ისიც მითხრა, რომ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლოა საპრიზო ადგილის გარეშე დავრჩენილიყავი, მაგრამ ამის გამო გული არ უნდა მტკნობდეს. სატელეფონო საუბრიდან დაახლოებით 1 საათში, საავადმყოფოს ხელმძღვანელებმა მითხრეს, რომ

გამოჯანმრთელებული ვიყავი და სახლში შემეძლო წასვლა. კორონავირუსმდე ძალიან მაწუხებდა ქრონიკული სინუსიტი (ცხვირის გაჭედ-ილობა). 8 თვის მკურნალობამ შედეგი არ მოიტანა. წიგნი მაქვს სახლში და ჩინური და იაპონური მასალები დაიწყო. ცოტა გამოუჭობეს და მდგომარეობა. ამასთანავე, დამით 15-ჯერ მაინც ვიღვიბებდი, ძალიან პრობლემური იყო ასევე ყელის სიმშრალე, ამიტომ ყველგან დამქონდა სასმელი წყალი და ხშირად 2-3 წუთში უნდა მიმეღო. დაგბრუნდი სახლში. ვგრძობ უკეთ ვარ - დამით ნორმალურად მძინავს, არც ცხვირის გაჭედ-ილობა მაწუხებს და არც ყელის სიმშრალე. როგორც ჩანს, სწორმა მკურნალობამ კორონავირუსიც დაამარცხა და ჩემი ჯანმრთელობის სხვა პრობლემებსაც უშველა. 4 დღის შემდეგ გურიის საჭადრაკო ჩემპიონატში ჩავიბი. ზედიზედ 7 ტურში გავიმარჯვე და მოუწვლიმელი გავხდი სხვებისთვის. მხოლოდ ბოლო ტურში ვითამაშე ყაიძი და გურიის ჩემპიონი გავხდი. და მაინც, კორონას წინააღმდეგ ყველაზე ეფექტური საშუალება ვაკცინაციაა და ეს იშვიათი ფაქტი თავის დამწვივების საშუალებად არ უნდა იქცეს.

გურიის 2021 წლის ჩემპიონატზე ჭადრაკში



გურიის 2021 წლის ჩემპიონი ჭადრაკში ერთი ტურით ადრე გიორგი გოლოლაური გახდა. მან ამ ჩემპიონატზე, რომელიც ოზურგეთის ჭადრაკის კლუბში იმართება, 12 ტურში 11 ქულა (10 მოგება, 2 ყაიძი) დააგროვა და მოუწვლიმელი გახდა მეტოქეებისთვის. გიორგი გოლოლაური მესამედ გახდა გურიის ჩემპიონი. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ასევე გურიის 3-გზის ჩემპიონის, ჩონატაურელი გივი ქორიძის შეხვედრა მეტად პირსპექტიულ ახალგაზრდა მოჭადრაკესთან თენგიზ თოიძესთან. დაძაბული შეხვედრა ყაიძით დასრულდა. გივი ქორიძეს 10,5 ჰქონდა. ბოლო ტურში გამარჯვებით ქორიძეს გურიის ორგზის ჩემპიონი ჭადრაკში დავით ცეცხლაძე დაწვია. ბერგერის კოეფიციენტის მიხედვით მეორე

ადგილე გივი ქორიძეს ერგო, ხოლო მესამე - დავით ცეცხლაძეს. შემდეგ მოხდა ოზურგეთელი თენგიზ თოიძე, ლანჩხუთელი - გურიის სამგზის ჩემპიონი ნუგზარ გვარჯალაძე და 2-გზის ჩემპიონი ტარიელ სუხუნიძე. სამთავს 7,5 ქულა აქვს. წელს ქალ მოჭადრაკეთა ჩემპიონატაც გაიმართა სწრაფ ჭადრაკში. ბოლო ტურის წინ 3-4 მოჭადრაკეს ჰქონდა ჩემპიონობის მანისაგადაწყვეტ ბრძოლაში 14 წლის ოზურგეთელმა ნათია ვასაძემ ჩონატაურელი ექმს ზენაბ სველიძეს მოუგო და ჩემპიონი გახდა თანაბარი ქულებით დააგროვეს გურიის ორგზის ვიცი ჩემპიონმა ჭადრაკში ლანა ლომაძემ და მოსწავლე ანა მერყელაძემ ბერგერის კოეფიციენტის მიხედვით მე-2 ადგილი ლანა ლომაძეს ერგო.

მისი სიცოცხლე ბრძოლა...

ეს მოგონება წლების წინანდელია. ეს არის განსვენება კაცისა, რომელიც გარდაიცვალა, მაგრამ სიცოცხლეს განაგრძობს.

1989 წლის მარტი, მოსკოვი. კოლმეურნეობათა საკავშირო ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად, საქართველოდან, ჯუმატურ პატიმარების ხელმძღვანელობით, 85 კაცი გაემგზავრა, მათ შორის ჩვენი რაიონიდან: გივი წითლიძე, საქართველოს საკოლმეურნეო საბჭოს თავმჯდომარე, ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე; ზურაბ ურუშაძე, ლიხა-აურელი მექანიზატორი; ციური ცხომელიძე, ბოხაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; კარლო გორგილაძე, სოციალისტური შრომის გმირი და მე, ვახტანგ მარგალიტაძე მერიის კოლმეურნეობის აგრონომი.

კრემლის ყრილობათა დარბაზში 3000 კაცი იყო, პრეზიდიუმში – 200. არასოდეს დამავიწყდება ყრილობის მეორე დღე.

შევდივართ დარბაზში. გივის სკამი თავისუფალია. ნეტავ სად არის, რაიმე ხომ არ დაემართა? – გავიფიქრე და...

ამ დროს პოლიტიბიუროს წევრ-

ბი შემოვიდნენ, მათ წინ ჩვენი გვი წითლიძე მოუძღოდა.

ეს დაფასება... თურმე წინ მეტი სიხარული გველოდა... იგი ტრიბუნასთან მივიდა და...

ორი საათით მართავდა ყრილობას...

ჩვენი ტაში ხანგრძლივად იყო და გამორჩეულიც, სიხარულიც მომეძალა და სიამაყეც.

– ეს ხომ გივი წითლიძეა, თითქოსდა, ჩვეულებრივი კოლმეურნეობის თავმჯდომარე! არადა, მოსკოვის ყრილობათა სასახლეში ყრილობას მართავს.

ავს. დიან, ეს გივი წითლიძეა, საქართველოში კი არა, მთელს კავშირში ლეგენდად ქცეული პიროვნება. მისი თავკაცობით ხომ ხშირად ხშიანება სოფელ ნატანების სახელი. ოზურგეთს არ ეწვეოდა სტუმარი, რომელსაც ეს სოფელი არ მასპინძლობდა.

დამთავრდა ყრილობა და სასტუმრო „რასსიაში“ დაბრუნდით. გივი გვიან მოვიდა, კარებთან შევხვდი.

– დღეს ყველა ძალიან გაგვახარე, ეს დღე უნდა აღვნიშნოთ! – ვუთხარი.

სიცოცხლი და მეთანხმბა. სიაც მომცა, ვინ უნდა მოგვეწვია.

მაგიდა ცნობილმა ადამიანებმა შეავსეს. იყვნენ მინისტრის მოადგილეები, უურნალისტები, და, მათ შორის მეც, ჩვეულებრივი აგრონომი. მაგიდა, გივის თამაღობით, ხალისიანად წარმართა.

შემდეგ, როცა გივის შეგვხვდებოდა, ამ დღეს და ჩემს ინიციატივას მადლობით იხსენებდა ის.


გივი ყველას გვიყვარდა. იგი გარგულადაც იყო გამორჩეული, უბრალოებით, ყურადღებანიობით, თავკაცობის დიდი უნარით, გადამდები სიცოცხლით...

ვახტანგ მარგალიტაძე

P.S. ეს წერილი რამდენიმე წლის წინათ გამოვაქვეყნე გაზეთში „ეთერი მანდილი“, რისთვისაც კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდის და შობა-ახალი წლისა და კალანდის დღესაწაულებს ვულოცავ ამ გაზეთის რედაქტორს, ქალბატონ ეთერ ქაღიშვილს. ასევე მადლობა და საუკეთესო საკალანდო სურვილები ოზურგეთის „ალიონის“ რედაქციას, რომელიც სიამოვნებით დათანხმდა ამ წერილის კიდევ



ქართველები მემორე სახელმწიფო სათათბიროში აბრარული რეფორმის გატარება



ვახტანგ მარგალიტაძე

საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო (1918)

პიოტრ სტოლიპინის მიერ ჩაფიქრებული რეფორმების პროგრამაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა აბრარული რეფორმას. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭო და მინისტრების უმრავლესობა მიიჩნევდნენ, რომ მინისტრთა საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოს სახელმწიფო სათათბიროს დასტურის გარეშე აბრარული რეფორმის გატარება არ უნდა დაეწყოს. სტოლიპინი არ შეუშინდა სახელმწიფო საბჭოს წევრებსა და მინისტრებთან დაპირისპირებას და რეფორმის დაუყოვნებლივ დაწყება მოითხოვა. იგი აცხადებდა: რეფორმის გატარებას ისედაც დიდი დრო დასჭირდება, ამიტომ მისი გადადება არ შეიძლება, ეს საკითხი უკვე დიდი ხანია, მომწიფებულია. სტოლიპინი დაჟინებით მოითხოვდა, რომ სახელმწიფო სათათბიროში განხილვის გარეშე, მინისტრთა საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოში მოწონებული აბრარული რეფორმის პროექტისათვის იმპერატორს ხელი მოეწერა და ასე შეეძინა მას კანონის ძალა. კანონპროექტი 87

მუხლისაგან შედგებოდა და მას მხარდაჭერას უცხადებდა ნიკოლაი II. სახელმწიფო სათათბიროს გარეშე აბრარული კანონმდებლობის მიღება მინც სარისკო იყო, მაგრამ, შეიძლება ითქვას, სტოლიპინს გარკვეულწილად გაუმართლა კიდევ: 1907 წლის 3 ივნისს იმპერატორმა მეორე სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა და კანონპროექტმა კანონის ძალა, სათათბიროში განხილვისა და მოწონების გარეშე იმპერატორის ბრძანებით შეიძინა.

აბრარული რეფორმის ძირითადი შინაარსი ასეთი იყო:

1. გლეხს უფლება ეძლეოდა გასულიყო სასოფლო თემიდან და მის სარგებლობაში არსებული სათემო მიწის კერძო საკუთრებაში დამტკიცება მოეთხოვა;
2. გლეხს უფლება ეძლეოდა ცენტრალური გუბერნიებიდან, სადაც მიწის ნაკლებობა იყო, იმპერიის განაპირა რაიონებში, ძირითადად დასავლეთ ციმბრში, გადასახლება-ლიყო და იქ მიეღო მიწა კერძო საკუთრებაში;

3. სოფლის მეურნეობის ადამგლობისათვის სხვადასხვა ღონისძიების გატარება.

პიოტრ სტოლიპინის აბრარული რეფორმას, გარდა ეკონომიკურისა, უმნიშვნელოვანესი სოციალური და პოლიტიკური მიზნებიც გააჩნდა. 1905 წლის შემოდგომაზე, გლეხთა მოძრაობის ადამგლობის პერიოდში, მემამულეთა დარბევის ინიციატორებად ბევრ გუბერნიასა და მახრამში სასოფლო თემები გამოვიდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ სასოფლო თემი რევოლუციაში ჩაება და ხელისუფლებას დაუპირისპირდა. სტოლიპინის ჩანაფიქრი ასეთი იყო: რეფორმის გატარების შემდეგ რუსეთში უნდა ჩამოყალიბებულიყო გამართული მეურნეობის მქონე გლეხთა (ფერმერთა) მრავალმილიონიანი ფენა, რომელიც ხელისუფლების მადლიერი და, ამდენად, მისი მხარდამჭერი, სახელმწიფოში წესრიგისა და სიმშვიდის დამცველი იქნებოდა.

1906 წლისათვის სასოფლო თემებში, კახაკების ჩაუთვლელად, 9.200.000 გლეხის კომლი ირიცხებოდა, რომელიც სულთა რაოდენობის მიხედვით მთელი გლეხობის 77%-ს შეადგენდა. სასოფლო თემს დაღებითი მხარეებიც გააჩნდა: თემისათვის საერთო საკითხების კოლექტიურად გადაწყვეტა, ეკლესიების, სკოლების, გზების აგება-შეკეთება, სახნავი მიწების, საძოვრებისა და სათიბების თანასწორად განაწილება, ქვრივობლებზე ზრუნვა და სხვ. ამავე დროს სასოფლო თემი აფერხებდა ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს. თემში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა იმ გლეხური კომლების რაოდენობა, რომლებიც ლატაკებოდნენ და საზრდოს მოპოვებასაც ვეღარ ახერხებდნენ. ასეთი გლეხების დიდ ნაწილს სურვილი ჰქონდა სოფელი მიეტოვებინა და ქალაქში მოეძია საარსებო წყარო. ეს პროცესი ფერხდებოდა იმის გამო, რომ გლეხს მიწის გაყიდვის უფლება არ ჰქონდა, ხოლო ფულის გარეშე ქალაქში წასვლას და იქ ფენის მოკიდებას ვერ შეძლებდა. თემი ხელს უშლიდა უნარინა, ჭკვიანი და გამრჯე გლეხის გამდიდრებას და ადმინისტრაციული მეთოდებით ცდილობდა გამდიდრების პროცესის შეფერხებას.

გლეხს საშუალება არ ჰქონდა თავისი შეხედულებით მოეწყო მეურნეობა: შეეძინა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, შეეტანა სასუქი და სხვ. სასოფლო თემის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იყო სახნავი მიწის თანაბრად განაწილება. 1861 წლის შემდეგ სოციალური სამართლიანობის ეს პრინციპი სულ უფრო ხშირად ირღვეოდა და ქრებოდა. 1913 წლისათვის რუსეთის იმპერიის ევროპულ ნაწილში სასოფლო თემებში 3.700.000 გლეხური კომლი ირიცხებოდა, რომელთაგან 58% მიწის გადაწილულების უფლებით ვეღარ სარგებლობდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თემის დაშლის პროცესი უკვე ძალზე შორს იყო წასული და მისი შენარჩუნება აღარ შეიძლებოდა.

პიოტრ სტოლიპინი არ აპირებდა ყველა სასოფლო თემის ერთბაშად მოსპობას. მას სურდა თემიდან გასული საგლეხო კომლებისაგან შეექმნა შემდეგულ გლეხთა (კულაკთა) მრავალრიცხოვანი ფენა, ისეთი ფენა, როგორც უკვე არსებობდა ბალტიისპირეთსა და პრუსიაში. ეს იქნებოდა შესანიშნავი მაგალითი იმ გლეხებისათვის, რომლებიც თემიდან გასვლისაგან თავს იკავებდნენ. ამავე დროს, მაგალითი იქნებოდა იმ პოლიტიკოსთათვის, რომლებიც პიოტრ სტოლიპინის აბრარული რეფორმას ეწინააღმდეგებოდნენ. სტოლიპინმა ნიკოლაი II დაითანხმა, რომ აბრარული რეფორმის ძირითადი კანონის საფუძველზე, რომელიც 87 მუხლისაგან შედგებოდა, გამოეცა ისეთი ბრძანებულებანი, რომლებიც ხელს შეუწყობდა გლეხობის მიწით უზრუნველყოფას. 1907 წლის აგვისტოში სტოლიპინმა სახელმწიფო მიწებისაგან შექმნა ფონდი (5.500.000 დესეტინა სახნავი და 11.000.000 დესეტინა ტყე). ფონდიდან მიწის შესყიდვა შეეძლო გლეხებს. ამ ფონდის გარდა, 1906-1914 წლებში გლეხებმა კერძო მფლობელებისაგან 10.000.000 დესეტინა მიწა შეისყიდეს. ასე დაიწყო რუსეთში შემდეგულ გლეხთა (კულაკთა) მრავალრიცხოვანი ფენის შექმნა.

აბრარული რეფორმის უმთავრეს საკანონმდებლო აქტს წარმოადგენდა 1906 წლის 9 ნოემბერს ძირითადი

კანონის საფუძველზე გამოცემული იმპერატორის ბრძანება. ბრძანების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა ნიკოლაი II-ის 1905 წლის 3 ნოემბრის მანიფესტი, რომლის ძალითაც, გაუქმდა ის გადასახადი, რომელსაც დროებით ვალდებული გლეხობა იხდიდა. 1861 წლის დებულებით, გლეხი მიწის სრულუფლებანი მესაკუთრე მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა, რაც მემამულეს მიწის საფასურს სრულად გადაუხდიდა. იმპერატორის ბრძანების საფუძველზე გლეხობის ეპატია ის გადასახადი, რომელიც მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაფარული და ამდენად, გლეხობა ავტომატურად იქცა მიწის კერძო მესაკუთრედ. ასე გაუქმდა რუსეთში დროებით ვალდებული გლეხების კატეგორია. ამ ბრძანებულების გამოცემის შემდეგ, 1907 წლის 1 იანვრისათვის, მიწა კერძო საკუთრებაში 2.800.000 საგლეხო კომლს გადაეცა. ამ კომლთა უმრავლესობა იმპერიის დასავლეთ გუბერნიებში ცხოვრობდა. იმპერატორის ბრძანებულება ცენტრალური რუსეთის გუბერნიებსაც შეეხო, მაგრამ აქ მიწის მფლობელი არა გლეხის კომლი, არამედ სასოფლო თემი გახდა.

1906 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე გლეხის კომლს შეეძლო თემიდან გასულიყო, კერძო საკუთრებაში მიეღო მიწა და მოეწყო საკუთარი მეურნეობა. ბრძანებულების მე-12 მუხლი გლეხს უფლებას აძლევდა რამდენიმე მიწის ნაკრის ერთ ნაკვეთად გაერთიანება მოეთხოვა და მთელი მიწა ერთ ადგილას მიეღო, ანუ მოეწყო ხუტორი. ბრძანებულების მიხედვით, თემიდან გლეხის გასვლისათვის საკმარისი იყო თემის ყრილობის მონაწილეთა უბრალო უმრავლესობის თანხმობა, ხოლო ნაკვეთების გაერთიანებისა და მთელი მიწის ერთ ადგილას მიღებისათვის – ყრილობის მონაწილეთა ორი მესამედის დასტური.

(გაგრძელება იქნება)
ვახტანგ მარგალიტაძე

საქართველო ახალი ისტორია (1801-1918 წ.წ.) გვ. 385-386



ჩემს ოჯახში, გურბას, სრულიად საქართველოს და მის აღმატებულება ქართულ თეატრს ვულოცავ შობა-ახალ წელს და განსაკუთრებით კალანდას.
 შვილების, სინარულია და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის.
ვასილ ჩიგოგიძე,
 ოჯახში სახელმწიფო თეატრის სამსახურში მუშაობს



ჩემს კვირვას ოჯახში მუშაობს და სრულიად საქართველოს ვულოცავ შობა-კალანდას! სინარული, სიკეთე, ჯანმრთელობა და ბედნიერება მომტანის თქვენთვის 2022 წელს მრავალწამიერ!
მარინა ჯავახიძე
 განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი



ბედნიერი შობა-ახალი წელი დაგვადგოდეთ! შვილების, სიკეთისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს 2022 წელი თითოეული თქვენთვის-სთვის. სვავს და ბარამს არ მოგპლ-ვოდეთ მრავალწამიერ...
ანანა ბერიძე
 სურსათის მრეწველი სააგენტოს გურიის სამმართველოს უფროსი



ბილოცავთ შობა-კალანდას, განსაკუთრებით შემოქმედი-ბოს-ვაურის მოსახლეობას. ბისურვბთ ჯანმრთელობას, სვავს, ბარამს, წარმატებებს!
ნურბაირ სარჯველაძე,
 შემოქმედი-ბოსვაურის თემის მამურიტარი დეკუტადი.



ჩემო ოჯახში მუშაობს, ნატანებელვბო ბილოცავთ შობა-კალანდას! ბისურვბთ ჯანმრთელობას, შვილობას, სიკეთეს და ბედნიერებას.
თამაზ ტუშუვი
 სოფ. ნატანების მამურიტარი დეკუტადი



ბილოცავთ შობა-კალანდას. ბისურვბთ ეს წელი ყოფილიყოს შვილობის, დასახული მიზნების მიღწევისა და სინარულით სავსე ცხოვრების მომტანი წელი
გიორგი კვიციანი
 ურამბია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე



შობა-კალანდის შემობრბანებას ბილოცავთ კვირვასო ოჯახში მუშაობს!
 ბედნიერი ყოფილიყოს 2022 წელი თქვენთვის.
გოგა თორიძე
 საკრებულოს სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე



ბილოცავთ შობა-კალანდას, განსაკუთრებული ყოფილიყოს იგი ჩვენი მითანი სოფლის მოსახლეობისთვის. ბისურვბთ ჯანმრთელობას, სვავს, ბარამს, წარმატებებს!
ლადო ჩველიძე,
 ოჯახში მამრის სოფ. მითისკირის



ბილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს და კალანდას, ბისურვბთ ჯანმრთელობას, შვილობას, სინარულია და ბედნიერებას!
ბეკა მავაკიშვილი
 ოჯახში მამრის მუნიციპალიტეტის მამრის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი



ბილოცავთ შობა-კალანდას. 2022 წელი თქვენი და თქვენი ოჯახებისთვის ყოფილიყოს სინარული, წარმატების და კეთილდღეობის მომტანი.
დავით ჭახელიძე
 საკრებულოს აბრარულ საბითთა, მონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საბითთების კომისიის თავმჯდომარე



მ. ბერკენიშვილის სახელობის ოჯახში მუშაობის მუნიციპალიტეტის თანამდროვე სახითი ხელოვნების ცენტრი და მისი მესვეურები ბილოცავთ ყველაზე დიდი დამრთის, უფალი იუსუ ქრისტეს დღესასწაულს ფიციკურად მოვლინების ბრწყინვალე შობის დღესასწაულს, გურულვბს მიშულვცავთ „კალანდობის“ დღესასწაულს და 2022 წლის შემობრბანებას.
 ინარკთ და იბედნიერეთ!

ოჯახში მამრის ბავშვთა სამკურნალო ცენტრი ბილოცავთ შობა-კალანდას!

